№ 175 აგვისტო 18, კვირა — 1891 — აგვისტო 18, კვირა № 175

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 — სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1891

**ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საცნობლად** უმორჩილესად ვაცხადებ, რომ წელს სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელის პირველს განყოფილებაში ოც-და თექვსმეტი (36) თავისუფალი ადგილია, მეორეში-თხუთმეტი (15), მესამეში (10) ათი და მეოთხეში თორმეტი (12). პირველს განყოფილებაში შემსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ, რადგანაც ან-ბანის უმეცარნიც მიიღებიან, ხოლო ვისაც შემდეგს განყოფილებაში ჰსურს შესვლა, იმათ შესაფერ განყოფილების პროგრამის ეგზამენი უნდა დაიჭირონ. თხოვნასთან უნდა წარმოდგენილ იქმნას მოწმობა აზნაურობისა, ანუ ბარათი ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ მთხოვნელი ბანკის დამფუძნებელთა შორის ითვლება. თხოვნის მიღება დაიწყება 25 აგვისტოდამ და 30-მდე გასტანს დაბა ძველს სენაკში სკოლის ინსპექტორის სახელობაზე. (7—4)

სკოლის ინსპ. სამსონ გ. ყიფიანი.

---

**ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მმართველობა საყოველთაოდ** აცხადებს, რომ მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის პალლადის მიერ ნებადართვით, ამ სასწავლებლის შენობის დაუმთავრებლობისა გამო, მისაღები ეგზამენები დაიწყება 6 ენკენისთთვეს და სწავლა-კი 10-ს; ამიტომ მოწაფენი უნდა გამოცხადდნენ: ვისაც ხელ-ახლა ეგზამენი აქვს, ან ვისაც ჰსურს ახლად შემოსვლა ამ სასწავლებელში 6-ს ენკენისთთვეს, ხოლო დანარჩენნი—10-ს. (3—107—2)

---

## ახალი ამბავი

*** გუშინ, ამ თთვის 16, ტფილისში ჩამოვიდა თორმეტი ფრანგი, რომელთაც მოსკოვის გამოფენა დაუთვალიერებიათ და აქ წამოსულან საქართველოს შესასწავლად.

*** გუშინვე ტფილისში ჩამოვიდა სამი ფრანგი ინჟენერი, რომელიიც ამ დღეებში კავკავის გზის დასათვალიერებლად წავლენ.

*** მეორე გიმნაზიაში შესასვლელი და ხელმეორე ეგზამენები დანიშნულია 26 აგვისტოსათვის.

დაწვრილებით ამბების შეტყობა, როგორც ამ სასწავლებლის მთავრობა აცხადებს, თვით გიმნაზიის კანცელარიაში შეიძლება.

*** ჩვენ მოგვივიდა ბ-ნ გარსევან რატიანისაგან კიდევ სამი მანეთი განსვენებულ იოსებ დავითაშვილის ფონდის სასარგებლოდ. ეს ფული შემდგარა იქიდგან, რომ ბ-ნს ალალო თუთაევს ოცი წიგნი თავისი „სამი კომედია" შეუწირავს. ამ ოციდან ათი უკვე გადაუცია კიდეც, რომელიც გაუყიდნიათ და ფულად უქცევიათ. ამ ფონდისა დღევანდლამდე გვქონდა 172 მან. 10 კაპ., ამიანად იქნება 175 მან. 10 კაპ.

*** რაგზით არა სცდილობენ ჩვენი ვაჭრები, რომ მოტყუილებით ისარგებლონ მსყიდველებისაგან და არა სიმართლითა და პატიოსნებით. პირველი ხერხი მოტყუილებისა სასწორი აქვთ ჩვენს ვაჭრებს. ქალაქის გამგეობას დაწესებული აქვს, რომ ვაჭრის სასწორი უთუოდ შემოწმებული უნდა იყოს და ამის ნიშანიც ზედ უნდა იყოს დასმული. ქალაქის სავაჭრო აგენტებიცა და პოლიციაც, რამდენადაც შეუძლიანთ, თვალ-ყურს ადევნებენ, რომ სწორი სასწორი იხმაროს ვაჭარმა, მაგრამ ძნელად რომ ხან აქ, ხან იქ, თუ დღეს, თუ ხვალ არ წააწყდნენ ვაჭრობის უსწორმასწორობას.

გუშინწინ ქალაქის გამგეობას მოუვიდა დაბეჭდილი სასწორი მეორე განყოფილების სასამართლოს გამომძიებლისაგან შესამოწმებლად. ამ სასწორის პატრონი ფილიპე არაქელოვია, ბაყალი. პოლიციას შეუნიშნავს, სასწორი არა აქვს მართალიო, შეუდგენია ოქმი და წარუდგენია გამომძიებლისათვის სამართალში მისაცემად. გამგეობაც შეამოწმებს ამ სასწორს და აცნობებს გამომძიებელს ყველაფერს.

*** მოკლედღეჰქონია თურმე ცხენის რკინის გზის გამგეობის განკარგულებას. ამ რამდენისამე დღის წინად ყველა ვაგონში გამოკრული იყო განცხადება იმის შესახებ, რომ ვაგონში თამბაქოს წევა აკრძალულიაო, და ეხლა ეს განცხადება აღარ სჩანს ვაგონებში. გამოდის, რომ თამბაქოს მოწევა დღეის იქით თავისუფლად შეუძლიან ვაგონებში. ამნაირად, ვისაც წეკოსა და საზოგადოდ, თამბაქოს ბოლის ცხვირში ცემა არ მოსწონს, შეუძლიანთ ვაგონი გზაში შეაჩეროს და ჩამოვიდეს, თორემ თავ-გაიმედებული თამბაქოს მოარშიყე განგებ მიუხშირებს ბოლის ცემას, თუ ვინმე სიტყვა-რამ შეჰკადრა და თამბაქოს მოწევა დაუშალა.

*** ღამის დარაჯების, ასასების, შესახებაც ბრძანებაგამოსცა ბ-ნმა სოკოლოვსკიმ: სახლებისა და დუქნების პატრონები იმისათვის იჭერენ ასასებს, რომ ღამ-ღამე თვალ-ყური ადევნონ, ხოლო იმათ-კი უფრო მეტს დროს სძინავთ. ბ-ნი სოკოლოვსკი უცხადებს პოლიციის მოსამსახურეთ, რომ თუ კიდევ შევამჩნიე მძინარე ასასი თქვენს ნაწილში, იგი დასჯილი იქნება, და პოლიციელი-კი —სამსახურიდგან დათხოვნილიო.

*** საფერშლო სასწავლებელში, რომელიც ტფილისის სამხედრო ჰოსპიტალთან არის გამართული, შესასვლელი ეგზამენი დაიწყება ამ თთვის 27-ს, დილის 9 საათზე.

*** კავკავის გზა ყაზბეგსა და ბალთასშუა ჯერ არც-კი გაუკეთებიათ და ამ გზას კიდევ სხვა უბედურებაც ეწვია თურმე. ამ თთვის 15, ღამით, არაგვის ხეობაში საშინელი ნიაღვარი მოსულა; არაგვი საშინლად ადიდებულა და გზა რამდენსამე ალაგს წაუხდენია ხუთს სადგურს შუა. ფასანაურსა და მლეთეს შუა მესამე ვერსზე მდ. არაგვს გზა გაურღვევია. ანანურსა და ფასანაურს შუა, სხვათა შორის, მეთექვსმეტე ვერსზე გაუფუჭებია გზა ქვის სიმაგრითურთ. მე-21 ვერსზე ნიაღვარს გაურღვევია გზა ოც-და-ათ საჟენამდე და მე-11 ვერსზე—გზა დაურღვევია 33 საჟენის მანძილზე. არაგვს მოუტაცნია ორი გზის შესამაგრებელი ქვითკირის კედელი და ერთი ბოძების სიმაგრე. ამას გარდა გუდაურსა და კობს შუა ჩამოქცეულა ქვითკირის მილი და დიდის კლდის ქვებით არის შეკრული გზა.

*** საერო განათლების სამინისტრო სავალდებულოდ ხდიდა დანიშნულ დროს განმავლობაში სამსახურს იმათთვის, რომელნიც სამასწავლებლო სემინარიაში სწავლას ამთავრებდნენ სახელმწიფო ხარჯით. ეხლა სამინისტრო და სასულიერო წოდება მოთანხმებულან და

---

# ფელეტონი

### პოეტი და ჩვენება

(პოემა)

მე, ყველასაგან უარ-ყოფილი,
მარად დევნილი შურიანობით,
საყვარლისგნითაც მწარედ დასჯილი
მთლად გულ-მოწყლული, დამწვარი გრძნობით,
ვეგდე ჩემს სახლში უამხანაგო
და უმეგობრო, მარტოკა, ერთი;
ვფიქრობდი, მისთვის თავი წამეგო,
ვის მიზეზითაც მწამს კვლავაც ღმერთი.
ამ დარდთ გროვაში ჩამძინებიადა,
არ გამიგია, არც რა ვიცოდი;
აზრებს-კი, სადაც იამებოდა,
იქ წასულიყვნენ, მე რას ვიგრძნობდი.
ამ დროს უეცრად ჩემთან მოჰფრინდა
რაღაც შვენება, თვალთ უნახავი,
სპეტაკი, უცხო, უმანკო, წმინდა,
ზეცისა შვილად დასასახავი.
გულზედა ხელი ბროლ-თითიანი
დამდო და მითხრა: „რად იკლავ თავსა,
ვის არ უნახავს სოფლად ზიანი,
სიკეთისათვის ვის სდებენ ფასსა?
კარგს პირადობას, ჰკუით შემკულსა,
გრძნობით მოძმეთა ჭეშმარიტს ერთ-გულს,
სამშობლოსათვის უმჯობესს შვილსა
ხალხი ჰმტრობს, სდევნის, ზიზღობსცა და სძულს
მისთვის, რომ ის მათ არ ემსგავსება,
კეთილსა სცდილობს, ავსა აძაგებს,
ძალადობასაც წინ აღუდგება,
მხოლოდ სიმართლეს სოფლად დაეძებს...
ხალხს სულ სხვა უნდა: პირ-მოთნეობა,
თავისა დახრა, ტყუილი, ფული!
მას სწყლავს მეორის უმჯობესობა,
შურით გასვრილი აქვს იმას სული.
ბრიყვია გროვა, უმადურია
უმრავლესობა, კარგად იცოდე,—
არ სწამს არა-რა, მისი სჯულია
ანგაარება... შენ ჰხამს ებრძოდე
პირის-პირ ამა კაცთა სენებსა.
მაშ რისთვისა გშობთ ნიჭიერებსა
ზეცა, თუ არა წინა-მებრძოლად?
რამდენ ნიჭი გაქვთ მომეტებული,
იმდენ უმეტესს მოგთხოვთ მამული
და არ სხვებისა თქვენ თანასწორად.
როგორც ღრუბელი, თასში დებული,
წყალს შეიწურავს, თასსა გააშრობს,
ანუ წურბელი, წყლულზე მისმული,
ზადსა გამოსწოვს, ანთებას აქრობს;
როგორც ნიავი ზაფხულის მწუხრსა
სიცხისა ბურუსს გაჰფანტავს სრულად,
ხალხს ოფლსა უშრობს, უამებს გულსა,
ჰმზრუნველობს მისთვის და სულად მოჰყავს;
როგორც რომ მთვარე ღამის მოგზაურს
ბნელსა უნათებს, აჩვენებს გზასა,—
საბრალოს, თითქოს სიტყვის თქმა სურსო,
მადრიელებით უყურებს ცასა;
როგორადაც მზე გაზაფხულისა
ფაქიზსა სხივებს უხვებით აფრქვევს,
ძალ-ღონეს მუშის დაჩაგრულისა
კარგის მოსავლის იმედსა აძლევს,
ეგრევ შენც უნდა ხალხისა ჭირი
შემოიკრიბო, კისრადა იდო,
როგორც იესომ მათთვის სიკვდილი
იტვირთა, ისე შენც უნდა ზიდო,
და შენის სისხლით მათი ტანჯვები
მორეცხო, სრულად გაასპეტაკო;
აღუხსნა უნდა ბრმებსა თვალები,
თვით-არსებობის ძეგლით შეამკო.
მათ მიუტევებს წიგნი მოთხრობის
და შენ-კი არა, ხარ ნიჭიერი;
მაშ უწინ მოგკვეთს შენ ცელი მტრობის,
შემდეგ გადიდებს თვისი და მტერი...
ეგ არის შენი ჯილდო ამ ქვეყნად,
მეტს ნუღარ ელი—არ გეღირსება;
გასწირე სული ხალხისა მსხვერპლად,
იტვირთე მათთვის ტანჯვა და ცემა!
უმჯობეს ჯილით თავ-შემკობილი
შენ ვერ იქნები, დასდე იმედი,
ჯვარს ეცვ სიამით, ვით ღვთისა შვილი,
და ხალხს მოუმკევ სანატრო ბედი...

პოეტი

ვარსკვლავის მსგავსო თვალადობითა,
ვერ გამიგია, რას მეუბნები?
სიტყვით, მაცთურებრ მონაწყობითა,
ეშმაკის ელჩსა მიემსგავსები?
სად მე, სად ქრისტე, სადა წამება,
ქება, დიდება და გვირგვინები?
მოძმეებისთვის თავის დადება...
ასე ადვილად არ მოვტყუვდები!
ხალხს უჩემოდაც მეტად მრავალი
პატრონებიჰყავს, მომვლელი, მცველი;
რომლის არც-ერთს ბიჯს იმათი თვალი
არა შორდება, ყოვლის მხედველი;
მოსამართლენიც დაულიერი,
დარბაისლურად მსჯელნი საქმისა,
კანონთა მცოდნე, თავ-ცალიერი,
ჰუმანურ გრძნობით მცველნი სახმისა;
მთელნი ლაშქარნი მით მოსარჩლეთა,
გველივით ბრძენნი, ენა-ჭრელები,
უკან დასდევენ იმათ საქმეთა,
როგორც მოგზაურს მეჯიბეები;
პატრიოტები, გმირნი ლაქლაქით,
თბილის სოროის მომნახველები,
საჭირო დროზე სიტყვით და საქმით
მხნედ მეომარნი, სწორედ მელები!
მე ვილას უნდა გავუქომაგდე,
ვის ვეჭირვები, ერთი ეს მითხარ?
სჯობს ცად მიბრუნდი—მე აქ დამაგდე,—
სიდამაც წამით ჩამოფრენილხარ.

ჩვენება

ვისაგან მესმის მე ეს სიტყვები!
ნუ თუ ამდენად გამოიცვალე?
დაგავიწყდა მთლად წმიდა მცნებები,
რად ხარ შექმნილი, რის ხარ მოვალე?
თუ მრეწველივით, შენც გინდა ადლით
მიჰყიდო ხალხსა დამპალი ჩითი!
ანუ წყლიანი ღვინო ხელადით
შემოაპარო, ივაჭრო მითი?
არა, არ მჯერა შენი დაცემა
ჯერედ სულითა... ეს უმგვანია!
სასურველისა საგნის გაცემა,
რისთვისაც დღემდის გიმუშავნია!?...
გაჭირვების დროს უნდა მამაცი,
შეუპოვარად ხმლისა მოქნევა,
და არა ფრთხილად, როგორ დიაცი,
საშიშროების წინა წაქცევა.
მგონია ხუმრობ, თორემ რას ჰბოდავ?
გეტყვი, ეს აღარ მოითმინება;
ღვთისა და კაცთა წინაშე სცოდავ,
არც მომავალში მოგეტევება.

პოეტი

რაო, მეც ვცოდე, მეცა ბრალსა მდებ?
იცი, ჰივჰავი რომა ძველი ვარ?
შენც საყვედურსა რასმე მიცხადებ...
მეტი რა გითხრა: მადლობელი ვარ!
აბა, რა გესმით ზეცისა მცხოვრებთ,
უხორცოთ, უგრძნობთ, ოცნების ხატთა;
ღვთისა წინაშე უცოდველ მდგომრებთ,
მხოლოდ საყდრისთვის გამონახატთა?
ჰაერთა ზემო ეთერის ზღვაში
შენ რომ ჰფრინავდი ვარსკვლავებ შორის,
ციაგით მბრწყინავს უსაზღვრობაში
უცხოდ გილხენდა ტრფობა ავრორის;
მზისა სხივები ზედ დაგყურებდნენ,
კი არა გწვავდნენ, გცვიდნენ სიფრთხილით!
თვისის ალერსით განებივრებდნენ,
ცდენას სცდილობდნენ სანატრის ხილით;
კრონოსისაგან ფეშქეშად ძღვნილი
ელვის გვირგვინი თავს გიმშვენებდა,
ერთ-ჰარმონიად მისგანვე ქმნილი
ხმა ბუნებისა მოგალხინებდა!
ბორეი, მარსი ეჭვიანობით
ჰქროდა გრიგალით, ცეცხლსა ისროდა!
შენ-კი, დამტკბარს ამ დიდების ცნობით,
ანგელოზივით გეღიმებოდა.
რა იცი მაშინ მე აქ რა მჭირდა:
ვკვდებოდი, ვმღერდი, ან თუ მარჩობდნენ?

სემინარიაში სწავლა-დამთავრებულს ნება ეძლევა, თუ სამინისტროს პირველ-დაწყებითს სკოლებში თავისუფალი ადგილი არ იქნება მასწავლებელისა, დანიშნულივადა საეკკლესიო-სამრევლო სკოლებში იმსახურონ იმ უფლებითა, როგორითაც სამინისტროს უწყებაში მსახურებენ.

⁂ სოფ. კონდოლი. (თელავის მაზრა): ამ თთვის 12, ორშაბათს, კონდოლში გამართულ იყო წარმოდგენა ქართულის სცენის მოყვარულთა მიერ აქაურის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. წარმოადგინეს ორ-მოქმედებიანი კომედია „ძუნწი“ და დივერტისმენტი გაჰმართეს. ხალხი საკმარისი დაესწრო. სრული შემოსავალი იყო 24 მ. 40 კ., ნაღდი შემოსავალი ხარჯს გარდა 12 მ. 40. ეს ფული ბანკში შევიტანეთ ონისიმე ივ. ჰიკაძის სახელობაზედ. გულითადს მადლობას ვუძღვნით ნინო ლეონიძისას, რომელმაც წარმოდგენისათვის დარბაზი მუქთად დაუთმო სცენის მოყვარეთ.

⁂ გაზ. „კავკაზ“-ს ატყობინებენ გოჯაურიდამ, რომ ამ დღეებში მკურნალი ი. მარქაროვი თავისს ეზოს აკაფვინებდა საავარიკო სახლის ასაგებად და ერთს ადგილს რომ თხრა დაუწყო მიწას, ძველს შენობას წააწყდაო, როცა კიდევ მეტი მოთხარეს მიწა, ძველი კედლები და რამოდენიმე ქვევრი იპოვნეს. ჯერჯერობით შვიდამდე ქვევრი უპოვნიათ, რომელიც ადვილად იფხვნებაო, დაჟანგული ძველი ნივთეულობა ლითონისა, სპარსული ძველი ფული და სპილენძის თეფში ქართულის წარწერითაო.

⁂ 16 აგვისტოს, პოლიციის მეექვსე ნაწილში მოხუცებული ბრმა ქალია არიუთუნოვისა სახლის სართულიდგან გადმოვარდა და მარჯვენა ფეხი მოიტეხა.

## არჩილური, შვიდ-თავი

(სამდროო ამიცანები)

—

ტურფად სთარგმნის, მჩატე ენით,
საამოა საკითხავად,
არჩევანიც მარჯვე იცის ჭკუა-გრძნობა შენაზავად,
სიცოცხლე და სიმარტივე მისს ნაწერს აქვს მოსართავად,
ოღონდ წერას მოუმატოს, სათარგმნად ხვდეს, თუ სათხზავად.

## არხეოლოგებს-ისტორიკოსებს.

ქართველებს საზოგადოდ ერთი მეტად მავნე ზნე გვაქვს შეხორცმეტებულ-შეთვისებული. ჩვენი ქვეყანა ყოველ მხრივ დიდის ხნიდგან მრავლად სამკალსა წარმოადგენს, გარნა მოკლებულია თუ მუდამ არა, ხანგრძლივობით მაინც, ჭეშმარიტ მუშაკთა. თითო-ოროლა მუშაკი, მართალია, ხან-და-ხან არ გვაკლია, მაგრამ მათს საქმეს ელფერს უკარგავს ბრმა თავმოყვარეობა. ყოველს საზოგადო საქმეში, ნაცვლად ერთმანეთის დახმარებისა და გამხნევებისა, წაქეზებისა და ხელის მომართვისა, დაუხმარებლობა, ხელის შეშლა და გაუტანლობა გვაქვს წინ წამძღვარებული. უკუღმართობა გარკვევით გამოიხატა „ივერიის“ ფურცლებზედ ბ-ნ ჟორდანიას, თაყაიშვილის და ჯანაშვილის კამათში. ყველამ ვიცით, რომ საგანი, რომელიც ამოქმედებს მცირე გუნდს ყმაწვილ-კაცობისას ჩვენში, მეტად წმინდაა და უზადო. ჩვენ მოგახსენებთ ჩვენის ქვეყნის წარსულის ისტორიის შესწავლის შესახებ. ცხადია, რომ სიწმიდესა და უზადობას ჩვენი წარსულის ისტორიისას უნდა ეშესაბამებოდეს სიწმინდე და უზადობა თვით შესწავლისა და კვლევისაცა. შემსწავლელისა და მკვლევარის მხრივ ისტორია, როგორც მეცნიერების ნაწიბური, სრულს უანგარობასა და თავ-დადებას, მოთმინებასა და შრომას ითხოვს. დარწმუნებულია ყველა, რომ ჟორდანიას, თაყაიშვილს, ჯანაშვილსა და სხ. სამშობლო ისტორიის კვლევა-ძიებაში გზას უნათებთ უანგარო სიყვარული საგნისა, მაგრამ იმათმა კამათმა-კი თავ-მოყვარეობას აღმოუჩინა ბოლო. ისტორიას შეერთებული შრომა სჭირია ⁊ ეს კარგად იციან მოკამათეთაც, მაგრამ მაინც ერთმანეთს პატარძლებივით ებუზღუნებიან და ერთი მეორეს ცოდნასა ⁊ ნაშრომს უწუნებენ...

სათავე მაგ კამათისა ასტეხა წერა-კითხვის საზოგ. ბიბლიოთეკის ხელ-ნაწერთა და სხ. წიგნთა სიის (კატალოგის) შედგენის საქმემ. 1885 წ. ზაფხულის დამლევს გორიდგან ჩამოიტანეს ტფილისში უგანათლებ. თავ. ნ. დადიანის მიერ შემოწირული ბიბლიოთეკა. ამ შემოწირულის წიგნებისა და წერა-კითხ. საზოგ. დანარჩენ წიგნთა დაწვრილებულის კატალოგის შედგენა მიანდეს განსვენებულს დ. ბაქრაძეს, მაგრამ განსვენებულმა დიმიტრიმ ნახა რა სიძნელე საქმისა და ერთის კაცის მიერ მაგ საქმის შესრულების შეუძლებლობა, საზოგადოების კრებაზედ კომისიის შედგენა მოითხოვა კატალოგის შესადგენად. განსვენებულ დიმიტრის თავმჯდომარეობით შედგენილს კომისიაში თ. ჟორდანიასთან და ნ. მთვარელიშვილთან ერთად მეც მოვყე, შევუდეგით საქმეს. როგორც გალობის მცოდნეს, პირველადვე მომანდეს დაახლოვებით განხილვა ხელნაწერ „გულანნისა“ (№ 425), რომელიც ცნობილია „საგალობლებად“, და ემსალავა მ. ჯანაშვილს ვრცელის წერილისთვის ამ დღეებში („ივერია“ №№ 147 და 148) და ცალკე წიგნაკადაც გამოსცა. ჩემი ანგარიში დავბეჭდე 1886 წ. „ივერიის“ 140 №-ში; ამ ხელნაწერის ანგარიშის გარდა მე არა დამიბეჭდია-რა. განსვენებული დიმიტრი სახარების გარჩევასა და შედარებას შეუდგა, ხოლო ბ-ნი ჟორდანია და მთვარელიშვილი დანარჩენ წიგნებისას. დღესაც მიკვირს, რომ კატალოგი აქამდე არ შესდგა და რაც წიგნები იქმნა განხილული, ან იმათი ანგარიში არ გამოქვეყნდა. წერა-კითხვის საზოგადოების მიერ განზრახული 1885 წ. კატალოგი რომ შესრულებულიყო, მშვენიერი რამ იქნებოდა. საზოგადოდ განხილვიდგან კატალოგში უნდა მოქცეულიყო საინტერესო ცნობები თვით ხელნაწერისა და იმის შინაარსის შესახებ, მაგ. გარეგანი აღწერა, დრო დაწერისა, მოკლედ შინაარსი თვითოეულის სტატიისა, ვინაობა მთხზველისა და გადამწერისა. სასურველი იყო ამ წესით შედგენილიყო უკვე განხილულის ხელნაწერების სია და დანარჩენებისა დაჰმატებოდა ხოლმე. თუ ეს არ მოხდა დღემდე, ამისი ბრალი, რასაკვირველია, პირველად ბ-ნს ჟორდანიასა და განსვენებულ დიმიტრის უნდა მივკერძოთ და აი რადა: ბ-ნი ჟორდანია მშვენიერად და გულდადებით იკვლევდა-სჩხრეკდა ხელნაწერებს, მაგრამ თავისს შრომას განჯინებში ინახავს ცალკე გამოცემისათვის; განსვენებულმა დიმიტრიმ განხილულ ხელნაწერებიდგან ამოკრებილი ცნობები თავისს ისტორიაში შეიტანა და მით დაბოლოვდა საქმე კატალოგის შედგენისა. ბ-ნმა ნ. მთვარელიშვილმა ჩვეულებრივზე უკეთესი კატალოგი შეადგინა და დაბეჭდა 1887 წ., თუმცა აჩქარება ამცნევია.

ბ-ნ თ. ჟორდანიას შიშ, „ივერიის“ მე-120 №-ში გამოთქმულს, არ შეიძლება სიმართლე ჩამოვართვათ: აუარებელს მასალას ჩვენის წარსულის ცხოვრებისას აუარებელივე პატიოსანი და წმიდა შრომა სჭირია არა ერთის კაცისა, არამედ მთელის გუნდისა. ნუ გვიწყენს ბ-ნი ე. თაყაიშვილი გულახდილის თქმისათვის, რომ იგი ულონოა, შეგვიდგინოს განზრახული კატალოგი, როგორიც გვეჭირვება, და ამაოდ უდვია თავს დიადი შრომა. ამისათვის არც დრო შესწევს, არც გამოცდილება. თუ ბ-ნ ნ. მთვარელიშვილის მიერ შედგენილ კატალოგისებრი გამოვა, აიღეთ და დანარჩენის წიგნების სია მიუმატეთ და მორჩა. ბ-ნი მ. ჯანაშვილი სამართლიანად უკიჟინებს ბ-ნს თაყაიშვილს შეცდომას და ბ-ნ თაყაიშვილიც—ჯანაშვილს. სამწუხაროა, რომ „სამი ისტორიული ხრონიკა“ მარტო ერთი კაცის თაოსნობით გამოიცა. იგი ერთი ათად უკეთესი და სასარგებლო იქმნებოდა, რომ ბ-ნთ თაყაიშვილის, ჟორდანიას და ჯანაშვილის შეერთებულის შრომით გამოცემულიყო. ბ-ნმა თაყაიშვილმა თვისი „სამი ისტ. ხრონიკა“ სამეცნიეროდ გამოსცა, მაგრამ ამ გამოცემით ვერც ერთი ჩვენის ისტორიის მკვლევარიკი ვერ ისარგებლებს. მე ჩემის მხრივ ვიტყვი, რომ ტექსტი „ქართლის მოქცევისა“ მეტად დამახინჯებულია (თუმცა თვით დედანი—ხელ-ნაწერი არ მინახავს), ამას თვით თაყაიშვილის ნაშრომი ჰლაღადებს. 107 გვ. (სამი ისტ. ხრონ.) „ჟ-ი შეიქნა“ ბ-ნ თაყაიშვილი მე-5 შენიშვნაში ამჯობინებს წაიკითხებოდეს „ჟივილი შეიქნა“, და არა „ჟამი შეიქნა“, თუმცა სწორედ ოთხი სიტყვის შემდეგ იქვე ხრონიკა ამბობს (ნუ დაივიწყებთ—ხრონიკა XVI საუკუნის გასულს ნაწერია) „ხოსიტა გააცხელაო“. მართალია, 118 გვ. ეს შეცდომა ბ-ნს ექვთიმეს უკანვე მიაქვს, მაგრამ მეცნიერულს-ისტორიულ ტექსტის გამოცემაში ასეთი შეცდომა არავის ეპატიება. მერე ვინ არის თავსმდები, რომ ბ-ნმა ექვთიმემ ოცი და ორმოცი ამისთანა და ამაზე უარესი მიუტევებელი შეცდომა არ გააპარა? XVII გვ. წარწერაში „.....“მათისა მიწა მღ (უდელი) ცოდვილის მიქელისათა“— ეჭვი მაქვს, რომ ბ. თაყაიშვილი სწო-

შემატყობინო ეს ერთი მინდა,
იქ, თქვენსას, ღმერთნი რაზედ ჰფიქრობდნენ?

ჩვენება

მე ვერ მოგიცდი, ეხლავ მივფრინავ,
რადგან შენ ღმერთი არ გწამებია!
რაებსა ჰფიქრობ, რაზედა სდრტვინავ?
უბრალოდ თავი გიწამებია!
მე მინდოდა, რომ კვლავაც ზეციდგან
ჩამოვსულიყავ, ნუგეში მეცა;
გამომეყვანე ყოვლის საფრთხიდგან,
ტანჯულისათვის ხმა გამომეცა.
მეტი აქ დგომა არ შემიძლია,
მშვიდობით, მივალ ჩემს სავანეში;
ურწმუნოებამ შენმა დამძლია,
მადლი ვერ შევა მაგ ნაირს მკერდში.

პოეტი

ისე სიამით გულის აღმვსები
იყო იმ ტურფის ტკბილი უბნობა,
ყოველის მწარე სევდის დამვსები,—
რომ ველარ შევსძელ გაყრის დათმობა
და მივაძახე: „ნუ გაფრინდები,
ობლად ნუ მტოვებ, გებრალებოდე,
შენსა ბრძანებას დავემონები,
ისიც შემინდევ, თუ რამ შეგცოდე!“
მე მისი გაყრა მეძნელებოდა...
ძველივ ჰრილობა გველივით გულში
გაიძრა, მისებრ იკლაკნებოდა,
მწეს ვერ ვხედავდი ჩემს განკარგულში.
ძლიერი არის ადამიანი,
ყველას გაუძლოს, სულ ყველა დასთმოს
ხელთა აქვს ღონე, მხოლოდ ხმიანი
სჭირია მგრძნობი, რომ მას გააცნოს
თავის უთმენი მდგომიარება.
ესრედ იშვება, ესრედ წარწყმდება
ათასობითა ამ სოფლად ნიჭი
და მათს დიდებულს ნამუშავარსა,
მხრის აღმამაღლებს, დაუვიწყარსა,
ჰქექს, ტალახში სვრის, ვიღაცა ბიჭი!
ბიჭი, რომელიც მხოლოდ მუცელსა
სცნობს, სიბნელესა თავს აფარვინებს,
არაფრისათვის არა ჰღვრის ცრემლსა,
თვით ქურდობს, სხვებსაც მოაპარვინებს,
ოღონდ სტომაქი თვისი გააძღოს,
ზოგი აცდუნოს, ზოგი გაძარცოს,
ზნეობა მოჰკლას მასხარობაში,
ყველა ასმინოს, ყველასა ავნოს;
თუ მოახერხა, ყველა დაჰკარგოს,
დღენი დალიოს ჯაშუშობაში!
და, ამ ფიქრებით გარემოცულმა,
წინ დავუვარდი მუხლ-მოდრეკილი...
მან უსხეულომ, კეთილმა სულმა,
ისმინა თხოვნა ჩემგან ვედრილი.

ჩვენება

კარგიო, მითხრა: შეგირიგდები,
სულ დავივიწყებ, რაცა იუბედე,
ერთხელ კიდევე გიმეგობრდები,
მაგრამ ესრედვე მცდარი, შემცოდე
კვლავაც თუ გნახე, ხმასაც არ გამცემ.

პოეტი

შეხე, შენს ღმერთსა, ვრდომილს ნულარ მცემ,
მეტს ნუ მიწყრები, ტანჯვა მაკმარე.

ჩვენება

დიაღ, თუ სიტყვას შენებურს დასდებ,
ნიჭსა ღონიერს უმცდრად აშრომებ,
შენი ვიქნები ტკბილი მოყვარე.
ხშირადა გნახავ, გეალერსები,
მეოხების ცვრით გულსა მოგირწყავ,
გაჭირვებაში მოგეხმარები,
ეკალ-დაფნისა გვირგვინს დაგიწნავ.
სულს გაგიმხნევებ იმედოვნებით,
ზეცისა მადლით ჰკვასა, გონებას
სრულს ვჰყოფ მომავლის ბედნიერებით,
ხელმწიფედ დაგსვამ, დაგხსნი მონებას;
დაცემულს ფეხზედ წამოგაყენებ,
ზე აგამაღლებ, გაკმარებ ძილსა,
ძველსა სამოთხეს ისევ გაჩვენებ,
კვლავ დაგიბრუნებ შენსავ ადგილსა...
ტანზედ საცმელად სახელოვნებას
შეგიკერვინებ თითონ სიბრძნესა,
განგითქვამ ცოდნას და ხელოვნებას,
შენს ბედს ვანატრებ მსოფლიო ერსა.
სიამოვნებას სხვა-და-სხვა გვარსა
არც ერთის წუთით არ მოგაცილებ,
განგაცლი ყოველს უამურს ჯავრსა,
აქვე ედემში გალხენ, გაცინებ...
შენს ღირსებებზე, შავ-მოსილებზე,
ანგელოზისა გუნდებს ვამღერებ,
ზაფხულს წაგიყვან მნათობ ეტლებზე...
აი რა რიგსა შვებას გაგემებ!
ოღონდ თითონცა გირჩევ ებრძოდე
კაცთა დამჩაგვრელს უგუნურებას,
ღმერთს ეძაგება—ჩემგნით იცოდე—
ვინცა დაჰმარხავს ნიჭიერებას.

პოეტი

სულ ყველაფერში შენი მონა ვარ,
მიბრძანე მხოლოდ, გამაგებინე;
როგორც ყოველთვის, ეხლაც მზადა ვარ,
შენთვის ერთი რამ მაამებინე.

ჩვენება

მზადა ხარ? კმარა! მაშ შემომფიცე,
რაც სიცოცხლეზე უფრო გიყვარდეს,
და მით პირობა მთლად განამტკიცე,
დღეიდგან ეჭვი შენზედ არ მქონდეს.

პოეტი

ვფიცავ სამშობლოს ჩემსა დაცემულს,
ესოდენ დასჯილს, განაწამებსა,
ჩაბალახ-ახდილს, შებოჭვილს, შეკრულს,
და წითლად ნალებს მისსა მიწებსა;
ქართველთ გმირების ძვლებით მოკენჭილს,
ველებს, ხეობებს, ციხეებს, მთებსა,
მათ სისხლსა წმინდას, უხვებით დაღვრილს
და მათსა აღმზრდელ მანდილოსნებსა;
ვფიცავ მათსავე განთქმულსა სახელს,
საერთო მტრების შემაშიშარსა,
იმათს მკერდსა მხნეს, შიშის უცნობელს,
უცხოდ ნახმარებს ხმალსა და ფარსა;
მამა-პაპათა ჩვენთა საფლავებს,
მამულისათვის თავ-დადებულთა
ათასის წლობით მტრებთან მებრძოლებს,
მუდმივ, დღე-და-ღამ ამხედრებულთა;
ვფიცავ მეფეთ დასს თავ-დაკვეთილებს,
ჩანგლით დაგლეჯილს ნაზს დედოფლებსა,
ვახტანგს, გიორგის, თამარსა კეთილს,
დავითს, ივერის აღმშენებელსა,
და ჩემს ღვთაებას კახაბერს, სხვა კაცს,
რკინის პალოით საზღვარზე მდგარსა,
ოსმალთ ძალთ მლეწელს, უბადლო მამაცს,
მას ლომსა და ბრძენს შეუპოვარსა;
ვფიცავ ქართვლის სულს, ჯან-გაუტეხელს,
ძვირფასსა დროშას, ქრისტეს ჯვრით შემკულს,
მას ჩვენს დამღუპველს, იმასვე დამხსნელს,
ივერიელებს მისებრ წამებულს;
თვით ჩემს უკვდავ შურს მიუძინებელს,
საშვილიშვილოდ გარდასაცემსა,
ჯავრის-ყრის სურვილს გამაცოფებელს,
ტკივილთა გრძნობას მტრისგან ნაცემსა...
კვლავაც ვიფიცავ ჩემს სულის ლტოლვას,
გრძნობათა ნდომას, გიჟურ აზრებსა,
საყვარლის პირველს დამწველსა კოცნას
წამსა ტრფობისას, მასთან ნალხენსა,
და უმანკობის მკერდისა ფართხალს,
სურვილსა, შიშსა, შეკივლებასა,
ვფიცავ მისსავე ვნებითა კანკალს,
ვფიცავ ჩემს მხეცურს გამძვინვებასა...
„მწამსო!“, ესა სთქვა და ისიც იყო
ხელი ყელზედა შემომახვია,
ღვთაებრივ შუბლზე ამბორი მიყო,
კი არ მიშველა, მახვილს მახია!
არ დასდგა, განჰქრა, იხმარა ფრთები,
ჰაერს შეერთო, გახდა მნათთ მშობლად,
თან წარიტაცა ჩემი ფიქრები,
აქვე დამაგდო მე ისევ ობლად...

მ. ფაზელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედ ვერ კითხულობს. ვინ ამბობს, უცდომელი ქვეყანაზე არავინ არის. თვით განსვენებული დ. ბაქრაძე სცდებოდა ხოლმე, მაგ. № 435 ხელნაწერის 357 გვ. წარწერას მე ვკითხულობ: „ქრისტე ადიდე უძლეველნი მეფენი სუმბატ და გურგენ“, ხოლო განსვენებული დიმიტრი—„....უძლეველნი მეფენი ბაგრატ და გურგენ“, ე. ი. სუმბატის მაგიერ ბაგრატ (იხ. ისტ. დ. ბაქრ. 247 გვ.). ბ. მ. ჯანაშვილიც ჩემებრ კითხულობს.

ბ-ნი მოსე რაღამ ასტეხა? წერილი მისი „საუნჯე X საუკუნისა“ კარგი რამ არის, მაგრამ ბევრგან კოჭლობს, იმისი არ იყოს—„ეს ფონი. კარგია, მაგრამ ერთგან არჩობსო“.

ქართველებისთანა მრავალ გვარი სასიმღერო კილოები დედამიწის ზურგზედ არც ერთს ხალხს არა აქვს. უფრო მდიდარია საეკკლესიო კილოებით. საერო-საეკკლესიო კილოებს შორის ისრეთივე ერთობაა, როგორიც ლიხთიმერ-ამერთა შორის, რუსულსა და ბერძულში, ვგონებ სომხურშიაც, პირველი სძლის პირი ვინც იცის, ის დანარჩენს შვიდსაც თავისთავად კარგად იტყვის. ჩვენში ეგრე არ არის, ერთი ხმის რვა სძლის პირი სხვა-და-სხვა კილოზედ ითქმება. ამასთან სამს ხმაზედ სათქმელი საგალობელი (სადაც მგალობელთა გუნდი იპოებოდა (და უწინ ხომ ხშირად იყო) საერთო კანონს ექვემდებარებოდა; ერთს ხმაზედ სათქმელად იგივე საგალობელი—სხვა კანონს, მაგ. სადაც თითო დიაკვანი იყო, როგორც ბევრგან დღესაც არის. 49 გვ. № 425 ხელნაწერში წარწერა: „საყვარელნო! უკეთუ ერთსა სძლის პირსა ზედა რომელიმე კილო ერთი ორ-გვარად იყოს აღნიშნულ, ნუ უცხო გიჩნ, ნუცა ურთიერთას წინააღმდგომ, რამეთუ რომელიმე მრავლისა სძლის პირისა ერთი კილო ორ გვარად არს—მეხურად. ხოლო შენ რომელი გინე—ბრძანე, რამეთუ ორივე ჭეშმარიტ არს“, სწორედ ჩემ მიერ თქმულს ასაბუთებს. დღესაც გვაქვს, მაგ. „მოვედით თაყვანის ვსცეთ“ სამი კილო დაცული; ამათგან ერთი კილო, უფრო გავრცელებული, ერთს ხმაზეა სათქმელი, დინარჩენნი—სამს ხმაზედ. აგრეთვე გვაქვს—„რომელი ქერაბიმთა“, “წმიდაო ღმერთო“ და სხვ. ერთს ხმაზედ სათქმელი კილო იგალობებოდა ერთის კაცის მიერ და, მაშასადამე, უფრო თავისუფლად, უფრო სრულის ხმით და უფრო მარდად, ერთის სიტყვით, როგორც მღვდელი და დიაკვანის—მგალობლის გემოვნება მოითხოვდა. აი, ბ. მოსე, ამ ერთს ხმაზედ სათქმელ კილოს უწოდებს ,,მიქელ მოდრეკილი'' მეხურს. თქვენ-კი მიგიკიბ-მოგიკიბავთ რაღაც ფილოლოგიური სოფიზმები და, მითომ, ამტკიცებთ—,,მეხური'' იგივე სომხურიაო; მერე რა თამამად ახარებთ სომხებს—დაკარგული კილოები აღმოგიჩინეთო-და!

ერთს ხმაზედ სათქმელი კილოს საფუძველი ძველადანვე არის ,,კანანახი''. მოკანანახე ეკკლესიაში ჰქუხდა თავისის ხმის ბგერით და მოქცევით. მე მიგალობნია თვით განსვენებულის არხიმანდრიტის ტარასის, პატივცემულის არტხიმანდრიტის მაკარისა და მამა ჩემის—კანანახობით. დღემდე კანანახით გალობა არის საბერძნეთსა და რუსეთში. ყოველივე ღირსება გალობის ხელნაწერისა № 425 მე გამოვსთქვი ჩემს ანგარიშში (იხ. 1886 წ. „ივერია“ № 140.). საქმე ის არის, რომ ხელნაწერი № 425 დაწერილია შატბერდის ლავრაში, შუაგულს არმენიაში, სადაც მოღვაწეობდა მიქელ მოდრეკილი. ბ. თაყაიშვილის მოსაზრება შატბერდის სადაობისა შესახებ „სამი ისტ. ხრონიკ.“ წინასიტყვაობაში დიდად საბუთიანი და სამართლიანია. მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდამ შატბერდს პირველობა ჩამოართვა ათონის ივერიის ლავრამ. სამთავისის მშვენიერ ტაძრის მოხატულს საკურთხეველში, მარჯვნივ, მოციქულების ასწვრივ, არაბული წარწერაა, დღემდე გაურკვეველი. მოსემ რომ ჰნახოს, მაშინვე დაამტკიცებს — სამთავისის ტაძარი არაბულიაო!

ექვთიმესა და გიორგიზე ადრევე გვქონია ნათარგმნი: იოანე დამასკელის პარაკლიტონი—რვა-ხმა აღდგომისა, (1—60 გვ. და 357 გვ.), საგალობლები-ანდრია კრიტელისა, 60 გვ. კოზმან იერუსალიმელისა-67 და 494 გვ., თარგმნილნი გლახაკისა მაკარისნი და სხ. იოანე დამასკელამდე აღდგომის საგალობელნი სხვები გვქონია' ჩემის ფიქრით ან ბერძულიდამ ნათარგმნი ანუ (უფრო-კი) თვით ქართველ მამათაგან ქმნილნი. სასიამოვნოდ რჩება ქართველს, რომ მეათე საუკუნეშივე საქართველოს ეკკლესიის წმიდათათვის დღესასწაულნი უკვე დაწესებული ყოფილან და საგალობლებიც შედგენილ. მაგ. წმ. აბოსი, კონსტანტინე მთავრისა და სხ. 22-ნოემბერს სწერია: „წმ. მოწამისა კოსტანტი კახაჲსა ქართჳელისა მოწამისა (338 გვ.).

ხელ-ნაწერშია მოხსენებული ,,შანთი'', ,,შჯული'', ,,იოსეფ'' და სხვ. სიტყვა ,,შჯული'' ევთიმეს თარგმანში არის ,,რჩული'', სიტყვიდგან—მორჩი, ნორჩი, მორჩილი და აქედგან რჩა—რჩება, ურჩება; ვერჩი, ერჩი, ერჩის, ერჩდა. ძალიან ცუდად უნებებია, ბ-ნს მოსეს, რომ „მეხური“—სომხურად მიუღია და საზოგადოებასაც ზურგზედ ჰკიდებს თავისს შეცდომას; დაჰვიწყებია განხეთქილება ქართველ-სომეხთა შორის მე-X საუკუნეში, როდესაც სცხოვრობდა არსენი კათალიკოზი, კანონთა მთხზველი და აღმწერი მოთხრობისა ,,სომეხთა განდგომისა მართლ-მადიდებლობისაგან''. № 425 ხელ-ნაწერში მოხსენებული სცხოვრობდნენ: მტბევარი სტეფანე სანანოჲსძე 916—950 წ.; 2, იოანე მტბევარი სულაჲს ძე 975—909 წ.; 3, მიქელ მოდრეკილი 977 წ. მწერალი, მგალობელი და მხატვარი; ამისი მამის ძმა დავით, ამისივე დისწული დავით მწერალი (ჯიბის ძე?)! 4, სტეფანე ჭყონდიდელი 950—958.

ბ-ნ ფ. ქორიძის წერილმა ,,ივერიის'' № 149-ში დიდად გვასიამოვნა, მაგრამ გვეეჭვება-კი, რომ ხელნაწერის ნიშნები სწორედ იმასა ჰნიშნავდეს, რასაც ბ-ნი ქორიძე ბრძანებს. ხელ-ნაწერში ოცამდე საგალობელი ვიგალობე და შევნიშნე, რომ ჩემს კილოში ხმის აწევა-დაწევა ხშირად ეთანხმებოდა ნიშნების ადგილობას; სადაც მე სასვენი მქონდა, ხელ-ნაწერში იჯდა ნიშანი (.), რაიცა მიღებულია საეკკლესიო საგალობლებში სასვენის დასანიშნად. მაგგვარივე ნიშნები საბერძნეთში და რუსეთშიაც იხმარებოდა და დაერქვა крючковые. კარგი იქნება, რომელიმე საგალობელი მცოდნემ იგალობოს და ბ-ნმა ქორიძემ მგალობლის კილოსა დ ხელ-ნაწერის სამგალობლო ნიშნებს შორის თარაზო გაავლოს. მაგ ნიშნების ნამდვილი მნიშვნელობა უფრო ამ გზით უნდა აღსდგეს.

მღ. პ. კარბელაშვილი

# რუსეთი

უმაღლესს ბრძანებაში შესახებ რუსეთიდგან შავის პურისა და ქატოს საზღვარ გარედ გატანის აღკრძალვისა მოხსენებული არ იყო ფინლიანდია. ეხლა ამ საგნის შესახებ ერთი რუსული გაზეთი იუწყება, ფინლიანდიის სენატს წინადადება მისცეს, თქვენც იშუამდგომლეთ, რომ ის უმაღლესი ბრძანება ფინლიანდიაშიც გაიცესო. თუ ამ ნაირი შუამდგომლობა 15 ავვისტომდე არ მოხდებოდა, ფინანსთა მინისტრს დაუყოვნებლივ უნდა აეკრძალა პურის შეტანა რუსეთიდგან ფინლიანდიაში, რადგანაც უმაღლესის ბრძანების ერთი მუხლი (მ-4) ნებას აძლევს ფინანსთა მინისტრს ასეთის განკარგულების მოხდენისას. ფინლიანდიისათვის დიდი საქმეა რუსეთიდგან პურის წაღებაო, ამბობს გაზეთი: და ამიტომ ფინლიანდიის სენატიც, ეჭვი არ არის, უთუოდ მალე შეასრულებს ხსენებულს წინადადებასაო.

— ასაფეთქებელ წამლების ყოველ მხრივ შესასწავლადა და გამოსაკვლევად ე. ი. იმის გამოსაკვლევ-შესასწავლად, თუ როგორ და რისაგან მზადდება ასაფეთქებელი წამალი, ზღვის სამინისტრომ პეტერბურგში გამართა სამეცნიერო-სატეხნიკო ლაბორატორია. ამ ლაბორატორიას ყოველგვარი იარაღი და მანქანები აქვს, რაც-კი საჭიროა ქიმიურ გამოკვლევათათვის, და წელიწადში ხარჯადაც ათას ექვსასი თუმანი ეძლევა ხაზინიდგან. ეს საქიმიო-სატეხნიკო ლაბორატორია ვალდებულია, ჯერ ერთი თვითონ იკვლიოს ასაფეთქებელი წამლები და მეორეც ადევნოს თვალ-ყური, თუ სად რა განკარგებულსა და უკეთესს ასაფეთქებელს წამალს მოიგონებენ და ყოველისავე ამის შესახებ თავისს დროზე შესაფერი მოხსენება წარუდგინოს ხოლმე მთავარს ინსპეკტორის ზღვის არტილერიისას.

— 25 და 24 ივლისს საშინელი ამბავი დაემართა ქალაქს სიმბირსკსა. იმ ორს დღეს მთელს ქალაქში აღარსად იშოვებოდა გასასყიდი გამომცხვარი პური. გარემოება ამ საქმისა აი როგორ იყო. ივნისის თვეში ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ მეფურნეებმა პური $2^1/_2$ კ. უნდა ჰყიდონ გირვანქაო და მართლა ამ ფასადაც იყიდებოდა ერთს ხანს, მაგრამ ბოლოს პური შემოაკლდათ, რადგანაც სოფლებიდამ აღარ მოჰქონდათ ფქვილი და ხორბალი. თუ ცოტაოდენი მოდიოდა, იმასაც ჩარჩები ყიდულობდნენ. ამ ჩარჩების წყალობით რამდენისამე კვირის განმავლობაში პური საშინლად გაძვირდა, ასე რომ მეფურნეებს უთუოდ უნდა ეზარალნათ, თუ გირვანქას ასევ $2^1/_2$ კაპ. გაჰყიდდნენ, და ამის გამო პურის ცხობა შეაჩერეს. ქალაქი საშინელს ყოფაში ჩავარდა. 25 ივლისს გუბერნატორმა დაიბარა მეფურნეები და გამოჰკითხა მიზეზი, პურს რატომ აღარ აცხობთო. იმათაც აუხსნეს, არ შეგვიძლია—ზარალი მოგვდისო. გუბერნატორმა ეს საგანი ქალაქის გამგეობას მიანდო და ვიდრე ნიხრი სამი კაპეიკი არ გახდა გირვანქა პურზე, მეფურნეებმა ცხობა აღარ დაიწყეს.

— ნიჟნიგოროდის მაზრის სოფელს ვიშენკაში შემდეგი ამბავი მომხდარა ეხლა ხან. ამ სოფელში სცხოვრობდა თურმე ექვსის კვირის ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი — მახლობელ სოფლის მასწავლებელი ზვეზდინი და ამ სოფლის მასწავლებელი ქალი მარიამი. ერთს დღეს ნაშუადღევის 3 საათზე, მოსამსახურე ქალს, რომელიც სამზარეულოში ტრიალებდა თურმე, გაუგონია რევოლვერის ხმა და თანაც ყვირილი: ,,აი, ჰო, მართლა მოვკალ ჩემი მარიამიო'' რევოლვერი კიდევ გავარდნილა. შესულა მოსამსახურე და ცოლ-ქმარი ორივე სისხლში მოცურავე დაუნახავს.

ცოლი მომკვდარა, ხოლო ქმარიკი გადურჩენია ექიმს. გამოძიების დროს ზვეზდინს შემდეგი უთქვამს: ,,რევოლვერს უბრალოდ ვატრიალებდი, გამივარდა, ჩემს ცოლს მოჰხვდა, და რომ იგი მომაკვდავი დავინახე, მეც სიმწარისაგან თავის მოკვლა მოვინდომე და იმიტომ დავირტყი რევოლვერიო''.

# წვრილი ამბავი

შესანიშნავი ამბავი გამოიკვლიეს—შეამჩნიეს, რომ ამ საუკუნის მეორე ნახევრიდგან მეხის ჩამოვარდნა ძლიერ გახშირდა სხვა-და-სხვა ადგილებში, ამის დასამტკიცებლად ცნობანი და საბუთები, რასაკვირველია, უფრო დამზღვევალ საზოგადოებათ მოეპოვებათ, რადგანაც მეხისაგან დანგრეულ სახლების ფასი იმათ უნდა ზღონ ხოლმე. 60 დამზღვეველის საზოგადოების ცნობანი ამ საგნის შესახებ 1855 წ. და 1877 წლისა შეადარეს ერთმანეთს და აღმოჩნდა, რომ გერმანიასა, ავსტრიასა და შვეიცარიაში ეხლა მეხის ჩამოვარდნა თითქმის ერთი სამად უფრო ხშირია, ვიდრე ამ ორმოც-და-ათის წლის წინად ყოფილა. საშუალოდ რომ ვიანგარიშოთ, გერმანიას წელიწადში 6—8 მილიონი მარკა ზარალი მოსდის მეხისაგან.

— ამ დღეებში კიეველის კოშკზე საფოსტო მტრედები გამოსცადეს. მტრედებს ისე მაღლა ფრენას ასწავლიან, რომ ომის დროს მტერმა ტყვია ვერ მიუწვდინოს მოსაკლავად. სხვათა შორის გამოსცადეს ისიც, თუ რა სიმძიმის ტვირთი შეუძლიანთ წაიღონ მტრედებმა. დატვირთული მტრედები ჯერ მართლა მძიმედ მიფრინავდნენ, მაგრამ შემდეგ-კი იმართებოდნენ და ისე მიდიოდნენ, როგორც სხვა დაუტვირთავი მტრედები.

— ჩრდილო-ამერიკის შეერთებულს შტატებში მოისურვეს იმის გადაწყვეტა, სასარგებლო იქნება, თუ არა, რომ მათრობელ სასმელების ხმარება აეკრძალულ იქმნასო. 17 შტატში უყარეს ამ საგანს კენჭი და აი რა აღმოჩნდა: მათრობელ სასმელების აღკრძალვის მსურველი 1,735,017 ხმა შესდგა, ხოლო ამის მოწინააღმდეგე-კი—2,032,705 ხმა.

— ინგლისის დედოფლის დახმარებით მომავალს წელს ვიქტორიას გამოფენა გაიმართება იმ გვარად, როგორც ადრევ იყო გამოფენები გველფებისა, სტიუარტებისა და ტიუდორებისა. ამ გამოფენაზე მოიტანენ ყველაფერს, რაც-კი რამ-შესანიშნავია და საყურადღებო დედოფალ ვიქტორიას მეფობაში. მარტო სურათები გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა 400-მდე იქნება.

— გერმანიის კონსერვატორთა დასის მომხრემ ფლორიან გეიერმა წიგნაკი დაჰბეჭდა შემდეგის სათაურით: „იმპერატორო, პური მოგვეც!“. წიგნაკში დაწვრილებით არის აღწერილი გაჭირვებული მდგომარეობა ხალხისა სალექელის სიძვირის გამო. პოლიციამ ამ წიგნაკის გავრცელების ნება არ მისცა, შეჰკრა და სულ თითონ წაიღო.

— კუაზელში ღამით საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ კარნოს მუზეა გასტეხეს და რამდენიმე ნივთი მოიპარეს.

— გამოჩენილი ჭაერით მოგზაური ინგლისელი გიგგინსი ამას წინად ჭაეროსტატით ავიდა ჭაერში, მაგრამ ჩამოვარდა, დაილეწა და მოკვდა.

— ინგლისელმა პოეტმა ლორდმა ტენნისონმა ეხლახან იდღესასწაულა 82 წ. თავის დაბადებისა. დღესასწაული გადიხადა ქალაქს ფრეშუოტერში, კუნძულს უაიტზე. ტენნისონს ოფიციალურად „ინგლისის პოეტ-მეხოტბეს“ ეძახიან. ამის გამო ეს პოეტი წელიწადში ორს ლექს—ხოტბას სწერს—ერთს დედოფლის დაბადების დღესა და მეორეს ახალის წლისათვის. ამ ღვაწლისათვის ლორდს ტენნისონს წელიწადში 127 გირვანქა სტერლინგი და ერთი ბოჩკა ხერესის ღვინო ეძლევა.

— ავსტრიის დედოფალი დღეში ორმოცს პაპიროსსა სწევს, იტალიის დედოფალიც აგრეთვე ბევრს ეწევა, მხოლოდ, როცა სწევს, ყოველთვის მარტოკა, განცალკევებულია. ისპანიის დედოფალი პაპიროსების მაგიერ ეგვიპტურს წვრილს სიგარებს ეწევა. სერბიის დედოფალს ნატალიასაც ძალიან უყვარს პაპიროსის წევა. პორტუგალიის დედოფალს პაპიროსები თავისთვის დრეზდენიდგან მოსდის.

# წერილები რედაქციის მიმართ

## I

რადგან თქვენს გაზეთში, «ივერიის» მე-136 №-ში, ჩემს შესახებ დაბეჭდილი იყო ბეჟან ფალავანდიშვილის წერილი, გთხოვთ, ამ ჩემს უკანასკნელს წერილსაც ადგილი მისცეთ. ბეჟან ფალავანდიშვილი სწერს, რომ ვითომ მე კანტორა დაკეტილი მქონოდეს 16 თებერვლიდგან 27 აპრილამდე. მართალი არ არის, კანტორა დაკეტილი არა ყოფილა, საქმეებს აწარმოებდა გიგო ერეკლეს ძე ფალავანდიშვილი. ამისი საბუთი ისიც არის, სხვათა შორის, რომ ბეჟან ფალავანდიშვილმა კანტორიდგან აპრილის დამლევს ფული გაიტანა. კანტორა დაკეტილი არა ყოფილა, რადგან ასი თუმანი შემოვიდა და ანგარიშიც ჩაბარდა ახალს მმართველს ი. ფალავანდიშვილს. იმავე წერილში ნათქვამია, ვივითომ მე მიმეწვიოს მედიატორეები. დამისახელონ, რომელი «ნადსმოტრშჩიკი» გავგზავნე ამ უცნაურს მედიატორეებთან, ან თითონ მედიატორედ მყოფთ მიბძანონ, როდის მიუვიდათ ჩემგან მიპატიჟების წერილი. რაც შეეხება ტყის გაყიდვის გამო დადებულს ბრალს, მე ვაცხადებ, რომ საერთოდ ყველა ფალავანდიშვილებმა თითქმის ძალა დამატანეს, ნება მომცეს, რომ გამეყიდნა ტყე, რადგანაც მცირედი შემოსავალი იყო და საჭიროება-კი მრავალი. მეც გავყიდე და ფული მთლად ყველა მონაწილეს გავუნაწილე და მივართვი კიდეც. არ მიმიცია მხოლოდ ბეჟან ფალავანდიშვილისათვის, რადგან არაფერი არ ეკუთვნოდა. ამისი საბუთი ხელში მიჭირავს. ყველას, ვინც-კი მიიღო ფული, ბარათებიც ჩამოვართვი ფულის მიღებისა. დასასრულ უნდა მოვახსენო ბ-ნს ბეჟან ფალავანდიშვილს, რომ ჩემს მმართველობის დროს ტყე შეკრული მქონდა, თუ გავყიდე ტყე, ღირებული ფასიც ავიღე... ეხლა-კი წვრილმანს ტყეს, რომელსაც დიდად ვუფრთხილდებოდით, რამდენიმე სოფელი ჰხმარობს და შემოსავალი-კი მცირე შემოდის.

უკანასკნელად ვაძლევ პასუხს ბ-ნს ბექან ფალავანდიშვილს.

თავ. ზაქარია ნიკოლოზის ძე ფალავანდიშვილი

3-ს აგვისტოს.

---

## II

გაზეთ „ივერიის“ მე-157 ამა წლის 26 ივლისის ნომერში დაბეჭდილი იყო სოფ. ამაღლებიდამ მოწერილი ამბავი. წავიკითხე ეს ამბავი და დიდად გამაოცა იმისმა თავ-აღებულმა სიცრუემ და ცილმა.

მივყვეთ სიტყვა-სიტყვით მოწერილს ამბავს. სოფელი ამაღლება „თავ-გატეხილი და დაწეულ-დაქვეითებულია“ გურიის ყველა სოფელზედაო, ამბობს მომწერი. რადაო, იკითხავთ? იმიტომ, რომ ამაღლების საზოგადოება, სხვა საზოგადოებასთან შედარებით, შეძლებულად არ ითვლება, მაგრამ ბუნება-ხასიათით მაინც მდიდარია და აქვს: ა) მველი სკოლა და ახლაც ორ-კლასიანი გაქმართეს; ბ) საზოგადოებას ეძვსსავე სოფელში ქვითკირის ლამაზი ეკკლესიები აქვს აგებული და ყველა ეკკლესია ქვითკირისავე გალავან-შემოვლებულია; გ) სოფლის კანცელარია, გზა-ხიდები, ბოგირები სუფთა და რიგიანი აქვს; დ) სახელმწიფო და სხვა ყოველ გვარი გადასახადი საზოგადოებაზე უფრო ადრე შეგროვილი და შეტანილი აქვს, სადაც ჯერ არს. ყველა ეს, „ივერიის“ მე-157 ნომერში დაბეჭდილის ამბის მომწერის სიტყვით, იმას ამტკიცებს თურმე, რომ სოფ. ამაღლება და ამის საზოგადოება „თავ-გატეხილია და დაწეულ-დაქვეითებული“.

„სოფელმა იმდენად დაიმცირა თავისი თავიო“, იუწყება ვითომდა სიმართლის მოყვარე მოამბე, რომ სოფლის გაიმვერა მწერალმაც-კი აბუჩად აიღო და სოფელი თავის ჭკუაზედ მიჰყავს... „ამ გაყზატონის წყალობით ორ-კლასიანი სასწავლებელი, რომელიც ორის წლის წინად უნდა დაარსებულიყო, დღესაც არა სჩანს დაარსებულად, და ვინ იცის კიდევ, მისის მეოხებით, რამდენს წელს ვერ დავინახავთ ამ გვარს სასწავლებელს ჩვენს სოფელში, თუ ჩვეულებრივად მოიქცა ეს გაყზატონი. დიდს წინააღმდეგობას ეწეოდა აქამომდე და, როგორც გავიგე, დღესაც ასე ექცევა ამ საქმესო“... გნებავთ ჩემს ფორმულიარს მოგახსენებთ, ბ-ნო მოამბევ: 1873-ის წლიდამ სოფლის მწერლობის თანამდებობას ვასრულებ და ამ 19-ის წლის განმავლობაში არც ერთს სოფლისაგან და ადმინისტრაციის წარმომადგენელისაგან საყვედური არ მიმიღია ჩემის „გაიმვერაობისა“ და სოფლის „ჩემს ჭკუაზედ წაყვანისათვის“. გარდა პირ-და-პირ ჩემის მოვალეობისა, ჩემს სამშობლო სოფელს ნაბეღლაურში ჩემისავე შრომით და ხარჯით, სადაც წინად არ ყოფილა, 1887 წელსა დაარსებულ იქმნა შტატის ეკკლესია, შევწევნივარ 250 მანეთით. 1887-სა და 88 წლებში ბასილეთისა და ასკანის საზოგადოებაში აშენდა ახალის გეგმით სოფლის სასწავლებლები და თითოეულს მათგანს ჩემის საკუთრებიდგან შევაწიე ორ-ორი თუმანი. ამ საზოგადოებიდამ ამაღლების საზოგადოებაში გადმოვედი 1889 წელს. აქ დამხვდა მველი უვარგისი შენობა სასწავლებლისა. დღე-მუდამ იმის ცდაში ვიყავი, რომ ჩამეგონებინა საზოგადოებისათვის შენობის განახლების და ორ-კლასიანის სასწავლებლის გამართვის საჭიროება. ამ წელს „ჩემის მეოხებით“ ადგილობრივმა მამასახლისმა დანიშნა საზოგადო ყრილობა, რომელსაც, ადგილობრივ მასწავლებლის გარდა დაესწრნენ: ბასილეთის მასწავლებელი ა. წითლიძე, სურებისა— ი. რამიშვილი, და სხვ. ამათის შეწეობით ყრილობამ დაადგინა განაჩენი—ორ-კლასიანი სასწავლებელი გაემართა და მე, როგორც ადგილობრივმა სოფლის მწერალმა, ამის შესახებ განაჩენი შევადგინე და მამასახლისმა ბ-ნმა დოლიძემ ამ წლის 10 მარტს წარუდგინა ჩახსტაურის ბოქაულს დასამტკიცებლად. გეგმა ამ სასწავლებლისა და ნებართვა სამოსწავლო დირექციას აქამომდე არ გამოუგზავნია და მამასახლისს უამისოდ ვერ დაუწყია მუშაობა. ამ სასწავლებლის სასარგებლოდ ჩემის საკუთრებიდგან შევსწირე 25 მანეთი.

ეს არ არის ჩემი „გაიმვერაობა“, „სოფლის ჩემს ჭკუაზედ წაყვანა“ ამაღლების საზოგადოებაში. ეს არის ჩემი „ჩვეულებრივი“ ქცევა, რომელიც ყველასათვის აშკარაა და თვალსაჩინო. მოამბემ რაც უნდა სთქვას, ჩვენ ჩვენსას მაინც არ მოვიშლით, სანამ თვით საზოგადოება და მთავრობა დანაშაულად არ ჩამომართმევს ჩემს სამსახურს, მოამბის მიერ უკუღმართად „გაიმვერობის“ სახელით მონათლულს.

ამაღლების სოფლის სასამართლოს მწერალი ევნატე ჯინჭარაძე

ოზურგეთის მაზრა

29 ივლისი.

---

## დეპეშა

16 აგვისტო

**ვალპარაისო.** ვინია-დელ-მარის ახლოს აჯანყებულნი დამარცხებულ იქმნენ. მთავრობის ჯარმა აჯანყებულებს გემები დაატოვებინა და ძალა დაატანა დამორჩილებულიყვნენ ყოველ პირობათა გარეშე.

### პეტერბურგის ბირჟა, 16 აგვისტო

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 92 | 7, 95 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $158^1/_2$ | 159 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 05 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $235^3/_4$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $225^1/_2$ |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . . . | 212 | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმამდე მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმს საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

---

# განცხადებანი

## გორჯომის მამულების გამგეობა

მოიწვევს მსურველს, აიღოს თევზის ჭერის იჯარა ტაბაწყურის ტბაში. სიტყვიერად და წერილობით პირობათა განცხადება შეიძლება მხოლოდ ამ წლის 15 ენკენისთვემდე.

დაწვრილებით პირობათ შეტყობა შეიძლება ყოველდღე მამულების კანტორაში. (3—106—2)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკოთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. . . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |

---

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე მოვიყვანე საზღვარ გარეთიდან მღებავი მოხელე და გავმართე ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზედ, წყალთა-შუა, ძმ. ვოლოხის სახლში

## სამღებრო და ლაიქს ამოსაყვანი ქარხანა

და ვიღებ შესაღებად სხვა-და-სხვა ფერ აბრეშუმეულს: პლიუშას, ხავერდის, შალის და ბამბის ქსოვილებს, ყოველ გვარს შეკერილს ქალის ტანისამოსს; კაცის სამხედრო სამოქალაქო ტანისამოს, ჩოხებს, ჩულქებს, ლენტებს, არშიებს, სირაქლემას ფრთებს და სხვებს. აგრეთვე ვიღებ ტანისამოსსა და ყოველ გვარს დალაქიანებულ მატერიებს ლაქის ამოსაყვანად.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ მიხეილის ქუჩაზე, აკოფოვის შენობაში და ფოსტით მომმართონ შეკვეთილობით და ფერიც გვაცნობონ ნიმუშით.

(28—95—10) ქარხნის პატრონი არტემ ანჯაფარიძე

---

**საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა**

**„ურბენი“ (L'URBAINE)**

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს adევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“ 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფის დროს ანთავისუფლებს კადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი მაშინ არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, გრაფის ქუჩაზედ, თავ. ჭავჭავაძის სახლში, „სევერნი ნომრების“ გვერდით.

დებარება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(20—20)

---

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

## დანია

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია. (36—86—14)

---

## საკომერციო კურსები

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1891—92 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება საწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნავთლის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—94—11)

Дозв. ценз. Тифлисъ, 17-го Августа 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. დროებითი რედაქტორი ზრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.